

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების მინისტრის  
ქალბატონ ნათია თურნავას

**ადმინისტრაციული საჩივრის  
ავტორი:**

1. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა  
ს/კ: 204952676  
თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ,  
IV სართული  
ტელ./ფაქსი: (+99532) 222 38 74

2. გიგა ჩოხელი

### **ადმინისტრაციული საჩივარი**

#### **გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:**

1. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

2. ბათილად იქნეს ცნობილი - სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

#### **გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:**

1. 2018 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დაამტკიცა „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის“ სკოპინგის დასკვნა, რომლითაც განისაზღვრა „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის“ პროექტზე სავალდებულო გზშ-ის ანგარიში მომზადებისათვის აუცილებელი კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

#### **მტკიცებულება**

დანართი #1. “დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს N 2-707 ბრძანება.

2. 2019 წლის 25 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიიღო გადაწყვეტილება დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაცემის შესახებ. დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობის თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა უზრუნველყოს:

- პირობა #9. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკების დეტალური პროექტის შემუშავება სპაჰე ფაილებთან ერთად და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ უზრუნველყოს სამშენებლო ბანაკების/მოედნების ტერიტორიების პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა/რეკულტივაცია; იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება, ასევე თუ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროები სავალდებულოა უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, სამინისტროსთან შეთანხმებული იქნეს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ პროექტი;

- პირობა #11. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამინისტროში განსახილველად წარმოადგინოს არსებული გეოლოგიური და გეოტექნიკური კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული გეოლოგიური გარემოს ცვლილების პროგნოზი შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;

- პირობა #12. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს მდინარეების მაქსიმალური ხარჯის და წარეცხვის სიღრმეების გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა, სადაც ასევე მოცემული იქნება მდინარეების საანგარიშო ჰიდროლოგიური მახასიათებლების (ხარჯები, დონეები, გარეცხვის სიღრმეები) შემატკამებელი ცხრილი;

- პირობა #13. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს საპროექტო გზის გადამკვეთ მდინარეთა და ხევების, ასევე ღვარცოფული ნაკადების მაქსიმალურ ხარჯებზე ინფორმაციის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება, სამინისტროსთან შეთანხმება და განხორციელება;

- პირობა #15. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უზრუნველყოს №1 გვირაბის შესასვლელი პორტალის ტერიტორიაზე იფნარ-მურყნარის ჰაბიტატზე ზემოქმედების შეფასება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები და წარმოდგენილ იქნეს სამინისტროში შესათანხმებლად;

- პირობა #16. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფაუნის დამატებითი წინასამშენებლო კვლევის ჩატარება და კვლევის შედეგების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა. ასევე, მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია საპროექტო არეალში არსებულ ცხოველთა სახეობების, მათზე ზემოქმედების, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებელი საკომპენსაციო ღონისძიებების შესახებ. ინფორმაციით უნდა განისაზღვროს ასევე კონკრეტულად ფასკუნტზე პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები, მასშტაბი და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების, ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განხილულ უნდა იქნას გზის შესაბამისი მონაკვეთის ალტერნატიული ვარიანტი. შესათანხმებლად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ასევე მონაცემებს პროექტის გავლენის ზონაში წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების

(განსაკუთრებით წავის) არსებობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მათზე შესაძლო ზემოქმედების, ამ ზემოქმედების შერბილების, თავიდან აცილების, ან/და საკომპენსაციო ღონისძიებებს;

- პირობა #17. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სანაყაროების მოწყობამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების დეტალური პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა სჭაპე ფაილებთან სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ფრინველთა ჰაბიტატებზე (ისეთი როგორცაა მაგ: ქაცვიანი) ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას სანაყაროს განთავსების ალტერნატიული ვარიანტები;

- პირობა #18. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ზურმუხტის დამტკიცებულ საიტზე (ყაზბეგი GE0000009) ზეგავლენის ე.წ მიზანშეწონილობის შეფასების წარმოდგენა, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია იმ სახეობებზე და ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების და საჭიროების შემთხვევაში ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ქმედებების შესახებ, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მითითებული დამტკიცებული საიტი; ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, წარმოადგინოს კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული საკონსერვაციო გეგმა;

- პირობა #19. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს პროექტის გავლენის არეალში მობინადრე ცხოველთა სახეობებზე (განსაკუთრებით საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „ნითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე) დაკვირვების საკითხის მონიტორინგის გეგმაში ასახვა. ასევე, აისახოს: მონიტორინგის სიხშირის ამსახველი გრაფა და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვება, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა მათი განხორციელების მიზნით;

- პირობა #22. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა არ განახორციელოს გზის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნის გარეშე.

- პირობა #23. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საავტომობილო გზის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად;

- პირობა #25. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია გვირაბის სამშენებლო სამუშაოები განახორციელოს ისეთი მეთოდის გამოყენებით, რომელიც მინიმალურ ზეგავლენას მოახდენს ყაზბეგის დაცულ ტერიტორიაზე;

## **მტკიცებულება**

დანართი #2. „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი–ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის #2-354 ბრძანება.

3.„ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანების თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და 79-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“

ქვეპუნქტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2\_ შემდეგი პირობებით:

- ა) წარმოდგენილ იქნეს დანართი #1-ში მითითებული, სამშენებლოდ გამოსაყენებელი, უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი-1 და ლოტი-2) კოორდინატებში მოქცეული მიწის ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
- ბ) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილი იქნება მათი საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- გ) წარმოდგენილ იქნეს უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის (ლოტი-1 და ლოტი-2) სამშენებლო დოკუმენტის სავალდებულო საექსპერტო დასკვნები საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაზე და კონსტრუქციულ ნაწილებზე სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით; ამავე ბრძანებით მშენებლობის ნებართვის მფლობელს დაევალა მშენებლობის საბოლოო დასრულებისას სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს წარუდგინოს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 89-ე მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული საბოლოო დოკუმენტი.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### **მტკიცებულება**

დანართი #3. „უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმომბაშია ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელი მოპასუხე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ - „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის #2-354 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ ანუ განსახილველი დავის საგანია - ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

### **მტკიცებულება**

დანართი #4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის -- განჩინება სარჩელის წარმომბაში მიღებისა და დასაშვებად ცნობის შესახებ.

### **საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:**

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - შინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება - ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად გაიცა მშენებლობის ნებართვა შინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) კოორდინატებში.

3.სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

4. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“საქართველოს კანონის 11.1 მუხლის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას. 11.2. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა ან სახელმწიფო მინისტრი (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის ორგანო), რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.11.3. მუხლის თანახმად სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

5. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 1,1 მუხლის თანახმად ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. ამავე კანონის მესამე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვა არის ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების

განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. ამავე კანონის მეორე მუხლის თანახმად, საქმიანობის ან ქმედების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიით ან ნებართვით ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროებს. სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ ლიცენზიის ან ნებართვის გაცემით რეალურად შესაძლებელია აღნიშნული საფრთხის შემცირება ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება. საქმიანობის ან ქმედების ლიცენზიით ან ნებართვით რეგულირების მიზანი და ძირითადი პრინციპებია:

- ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა;
- გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

6. იმ პირობებში, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით, როდესაც შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რომ მოცემულ შემთხვევაში პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება ვერ უზრუნველყოფდა საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების გამოვლენას, შესწავლასა და აღწერას შემდეგ ფაქტორებზე:

- ა) ადამიანის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- ბ) ბიომრავალფეროვნება (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები);
- გ) წყალი, ჰაერი, ნიადაგი, მიწა, კლიმატი და ლანდშაფტი;
- დ) კულტურული მემკვიდრეობა და მატერიალური ფასეულობები;
- ე) ამ ნაწილის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფაქტორების ურთიერთქმედება (გამოწვეული „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლი) და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მაინც გაიცა დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ხოლო სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ 2019 წლის 06 ნოემბერს გამოსცა #188-04 ბრძანება შინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ - ცალსახად არის დადასტურებული, რომ გასანივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უხეშად არის დარღვეული და ხელყოფილი როგორც "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებების, ისე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ლეგიტიმური მიზნები და პრინციპები: ა) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; ბ) ადამიანის საცხოვრებელი და კულტურული გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა; გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, ასევე "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ლეგიტიმური მიზნები და პრინციპები.

7. ყოველივე აღნიშნულით სახელმწიფომ არ შეასრულა საქართველოს კონსტიტუციის 37 მუხლის მოთხოვნა - სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად.

მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით დადასტურებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მინიჭებული საჯარო უფლებამოსილების კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელების ფაქტი, რის გამოც სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ბათილობის საფუძვლები.

8. სზაკ-ის 184.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. განსახილველ შემთხვევაში, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, რის გამოც ადმინისტრაციული საცივრის განხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელიც არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სზაკ-ის 184.1 მუხლის საფუძველზე უნდა გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანების (ჟინვალის-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ) მოქმედების შეჩერების შესახებ.

9. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ოფიციალურად გაცნობილია 2019 წლის 02 დეკემბერს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, გთხოვთ:**

- მიიღოს ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
- ბათილად ცნოს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება ჟინვალის-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.
- გამოსცეთ ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანების (ჟინვალის-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ) მოქმედების შეჩერების შესახებ.

**საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:**

1. “დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 24 აგვისტოს N 2-707 ბრძანება - 12 ფურცელი;
2. „დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის #2-354 ბრძანება - 10 ფურცელი;
3. „ჟინვალი-ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე (ლოტი-1 და ლოტი-2) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ“ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2019 წლის 06 ნოემბრის #188-04 ბრძანება - 2 ფურცელი;
4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 ივნისის განჩინება სარჩელის წარმობაში მიღებისა და დასაშვებად ცნობის შესახებ - 4 ფურცელი;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
6. რწმუნებულებები - 3 ფურცელი;
7. პირადობის მოწმობის ასლი - 1 ფურცელი.

დანართი სულ: 34 ფურცელი

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ნინო გუჯარაიძე

ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი

ნინო გუჯარაიძე

გიგა ჩოხელის წარმომადგენელი

26.12.2019წ.